572
1977

1977 იანვარი N1

ნაპერწკალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
გენერალური მდივანი

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი

70 წლისაა!

ფოტო ვლადიმერ გინზბურგისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენო ნორჩო მკითხველო!

ვიწყებთ საუბარს: „შენ და ხუთწლედი“.

სიტყვა ხუთწლედი შენთვის ნაცნობი და ახლობელია. ეს სიტყვა ყველგან გესმის—სკოლაში, საბავშვო ბაღში, ოჯახში. ტელევიზორის ეკრანზე ხუთწლედის გმირებს ხედავ, რადიოთიც ხშირად გაგიგონია მათი ხმა.



ხუთწლედი ჩვენი ქვეყნის განვითარების ხუთწლიანი გეგმაა. ამ გეგმის მიხედვით საბჭოთა ხალხი აგებს ახალ ქალაქებს, ელექტროსადგურებს, ფაბრიკა-ქარხნებს, გაჰყავს არხები, ამზადებს გოლიათ ჩარხებსა და პატარა ტრაქტორებს, რომლებიც მთის ფერდობებზე მუშაობენ, ლამაზ ფერად ქსოვილებსა და შენთვის საჭირო რვეულებს.

ყოველ დიდსა და პატარა საწარმოს, ყოველ კოლექტივს აქვს თავისი ხუთწლიანი გეგმა. მშრომელები ცდილობენ იგი ვადამდე და, რაც მთავარია, კარგად, ხარისხიანად შეასრულონ. სწორედ ამიტომ მეათე ხუთწლედს ხარისხის ხუთწლედი ეწოდა.

13421

ხუთწლედი შენც გისახავს ამოცანებს—ბეჯითად ისწავლო, იყო დისციპლინიანი, ამხანაგებზეც იზრუნო. „არც ერთი ჩამორჩენილი და უდისციპლინო ჩვენს გვერდით!“ ამ მოწოდებით მიმართეს ყველა მშრომელს რუსთაველმა მეტალურგებმა. ამ სიტყვებს პიონერებიც გამოეხმაურნენ. ახლა კი ჯერი თქვენზეა!

ოქტომბრელთა ვარსკვლავში ხუთნი ხართ, ეცადეთ ყველანი სამაგალითონი იყოთ. გულდასმით შეასრულეთ მასწავლებლის დარიგება, თქვენი შესაფერი საქმეებით ამოუდექით მხარში პიონერებს.



სახელმწიფო საუბლიკ ბიბლიოთეკა



კაჯა წვიმაში

რევაზ ინანიშვილი

ნახატები **თამაზ ხუციშვილისა**

ღამით ისევ წვიმდა. კატას იმედი ჰქონდა, დილამდე გადაიღებდა, მაგრამ დილით უფრო დაუშვა,—ამღერდა ნიაღვარი სახლის გვერდზე. კატა მოაჯირზე შეხტა, ბოძთან მიიყუნჭა და იქიდან იყურებოდა გარეთ. კრამიტებიდან ბრჭყვიალა მსხვილ ძაფებად ჩამოდიოდა წყალი, იქით და იქით წვრილდებოდა, მესერის ბოლოში უკვე ნისლივით ჩანდა, ნისლით იყო დაფარული მთები.

კედლის კუთხიდან მსუქანი, ბეჭებდამრგვალებული ჭრელი ღორი გამოზაყუნდა ხვნეშით, რალაცის დუდღუნით დაუყვა ეზოს. ღორების ნათქვამს ხომ ვერავინ გაიგებს რიგიანად, მით უფრო მსუქანი ღორების ნათქვამს,—სულ მიწას ეღაპარაკებიან; მიდიოდა ჭრელი ღორიც, ვითომცდა არაფერი, რომ აწვიმდა, მიღაპარაკობდა თავისთვის და საცა ფეხს დაადგამდა, შავ ორმოს ტოვებდა. ის ორმო მაღე წყლით ივსებოდა.

წამოუბერა ნიავმა, წვიმის წვეთები კატას მიაწვდინა, კატა შეკრთა, იატაკზე გადმოხტა, მწყრალად შეჰფრუტუნა ცას, მერე ტახტქვეშ შეძვრა, დაჯდა, ცხვირ-პირზე რამდენჯერმე მოისვა თათი, უღვაშები გადაიპეწა.

გამოვიდა ოთახიდან ქალი, გაბჭურა აანთო, ზედ ქეთილი დადგა. კატას შიოდა. მივიდა ქალთან, შეჰკნავდა, გაიარა, ფეხზე გაეხახუნა. ქალმა ყურადღება არ მიაქცია. გამოიარა, გამოეხახუნა. ქალმა მეორე ფეხი წაჰკრა, კედელთან მიაგდო, კატამ საყვედურით ამოხედა, ამოჰკნავდა.

— ზმუკი!—მიუგო ქალმა.

კატამ ისევ დაიკნავდა.

— ზმუკნახევარი!

გამოვიდა ნამძინარევი ბიჭი, ღიმილით იკითხა:

— ეგ ნახევარი რალაა?

— შენი წილია, შენგან არის განებივრებული.

კატა ბიჭთან მივიდა. ბიჭი ჩაკუნტდა, მიეფერა. კატა გაიღურსა, კრუტუნი დაიწყო. ბიჭმა წინა თათებში მოჰკიდა ხელები, აიტაცა და ჰაერში დატრიალდა. კატა შეწუხდა, გული ყელში მოებჯინა, ხმა ვერ ამოიღო. ქალი გამოექომაგა,—რას უშვრები, შე ურჯულო! ბიჭმა კატა დასვა. კატა ბარბაცით წავიდა და ტახტის ქვეშ შეძვრა. მთელი სხეული უკანკალებდა, ძალიან გაბრაზებული იყო,—ბიჭზეც, თავის თავზეც, რა სულელი ვარ, რას გავუყუჩდიო, მაგრამ ბიჭმა რომ პირი დაიბანა, მაგიდას მიუჯდა და აღერ-

სით დაუძახა:

— ნაბო! ნაბუღავ!

კატა მაინც წავიდა მისკენ, ისე კი, რომ მაღლა არ აუხედავს. ბიჭმა ყველის ნაჭერი მისცა, თან ფეხით მიეფერა,—რბილად, აღერსით უსვამდა კანჭს ხან—თავზე, ხან—გვერდებზე. კატას გული მოუბრუნდა. ახლა მან გაუსვა თავი და მხარი ბიჭს ფეხზე.

ამოვიდა დაბლიდან ბებია, ამოიტანა ქვაბით რძე. მოაჯირის კართანვე დატოვა დიდი ჩექმები, დაუწყო ღანძღვა წვიმას. კატას რძე ძალიან უნდოდა, ვერ მოითმინა, მაგიდაზე ახტა, ქვაბს ირგვლივ შემოუარა. აქ უკვე ბებია გაუწყრა,—უი, შე თავმკვდარო, ჩამოშავდი ეხლავე!—წამოუსვა ხელი და ძირს გადმოაგდო. ბიჭს შეეცოდა,—რა იყო, რასა სცქმთო!—მოტეხა კარაქიანი პური და მისცა კატას. კატამ ჯერ კარაქი აღოკა,



მერე პური შეჭამა. კიდევ უნდოდა კარაქიანი პური, კნავილითა და საბრალობელი თვალებით სთხოვა ბიჭს, მაგრამ ბიჭმა აღარ მისცა. რძეც ცეცხლზე შედგეს. ბებია ისევ დაბლა ჩავიდა. ბიჭმა ჩანთაში წიგნები ჩაიწყო, პალტო ჩაიცვა, ქუდი დაიხურა და სკოლაში წავიდა. აივანზე ქალი და კატაღა დარჩნენ. რძე ადუღდა. ქალმა ქვაბი გადმოდგა, ცოტა ხანს თავღია ედგა, მერე სახურავი დაახურა, ზედ ფილთაქვა დაადო, კატას არ აეხადა. ქალიც ძირს ჩავიდა.

დარჩა კატა მთლად მარტო. აღარ შიოდა. რამდენჯერმე შეწუხებულმა ახედა წვიმიან ცას, იტრიალა, იბორიალა, კედლის ძირები სუნა. ბოლოს დასწია კუდი ძირს, თათით მიაწვა ოდნავ-ოდნავ დარჩენილ კარს, შეაღო და ოთახში შევიდა. იქ პატარა საწოლში პატარა გოგონას ეძინა. ახტა იმ საწოლზე, მონახა პატარა გოგონას პატარა ფეხები, მიუწვა იმ ფეხებთან, შემოერკალა ირგვლივ და ასე მორკალულმა წამოიწყო წყნარი გურგურა სიმღერა,—ამგვარ სიმღერებს კატა ძილის წინ უმღერდა ხოლმე გოგონას და საკუთარ თავს.

ძილი კარგი იყო, განსაკუთრებით—პატარა გოგონას პატარა ფეხებთან ძილი. ძილში ყველა და ყველაფერი კარგი იყო; თვით გულისგამაწვრილებელი წვიმაც კი. დაე, ეწვიმა და ეწვიმა! კატამ იცოდა, გაიღვიძებდა ერთხელაც და ცაში წვიმის ნაცვლად თბილი მზე იქნებოდა, მზე ააშრობდა ქვეყანას, კატა ავიდოდა სახლის სახურავზე და გაიზმორებოდა ბედნიერებისაგან.

.იმას ხომ არაფერი სჯობს, როცა შენ მაღლა ხარ, ვეება დედამიწა კი ძირს არის!

ამიტომ მღეროდა წყნარად:

ცამ იცის გრძელი წვიმა,
მე და გოგონამ—ძილი.
ძილი აჯობებს წვიმას.
ყველაფერს სჯობია ოდნავ თბილი რძე.

ამიტომ აჭყეტდა ხანდახან შეშინებულივით თვალებს და მერე ნაბი წითელი ენით ილოკავდა ტუჩებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზამთარი

კ. გოგიაშვილი

ნახატი **მანანა მორჩილაძისა**

ცაზე არ ჩანს მზე კაშკაშა,
მთის კალთებზე—თეთრი ფარა,
არემარე, მინდორ-ველი
ფიფქა თოვლით დაიფარა.
გაჰარულან ვარსკვლავები,
მთვარეს ფარავს ღრუბლის ბინდი,
ქარი ნამქერს ატრიალებს,
დღე—ჰატარა, ღამე—დიდი.

რახანია დათუნიას
არხეინად ძინავს, ხვრინავს,
მოწყენილი ჩიტუნები
ჭივჭივებენ:—უინავს! უინავს!
მაგრამ მალე გაიღვიძებს
ტუე თუ ბაღჩა დაზაფრული
და რაკრაკა ნაკადულით
მობრძანდება გაზაფხული.

კოტე

შალვა შუბლაძე

ზამთარია...
მაღლა ციდან
ფანტელები
ცვივა,
ცვივა,
სანაც ბარდნის,
სანაც—ცრის და,
ჩიტუნები შეგვიცივა.

სუსხიანი ქარი კვნესის,
შფოთით ხეებს ხეზე ახლის,
თეთრი ქურქის საბოსელში
გახვეულა ეზო, სახლი.
თოვლი ადევს ატმის ხეებს,
გაზნექილათ მძიმედ წელი,
ჯოკით ხელში დადის კოტე,
რომ ბაღს აცდეს განსაცდელი.

ამაგი

თენგიზ გოგოლაძე

ამხელა გოგო ვარ, მეორე კლასში გადავედი, დედაჩემი და ბებიაჩემი ისევ თეფშით და კოვზით დამდევენ და ძალისძალათი მაჭმევენ.

მეგონა, ამ ზაფხულს მაინც დამეხსნებოდნენ, ერთს კარგად გავინავარდებდი სოფლის გოგობიჭებში.

ყოველ ზაფხულს ვიცვლით აგარაკს, რადგან დედაჩემსა და ბებიაჩემს ერთი და იგივე ადგილი ბეზრდებათ. მამაჩემი სურსათს ეზიდება, ქალები კი, თითქოს სხვა საქმე არ ჰქონდეთ, მხოლოდ ჩემზე ფიქრობენ, მე დამდევენ და თვალს არ მაშორებენ. მამაჩემი ბევრს ეჩხუბებოდა მათ, „აცალეთ, ბავშვმა თვითონ მოკიდოს კოვზს ხელი, ბოლოს და ბოლოს ისწავლოს საკუთარი პირის მისამართიო.“

ყველაფერი კი იქიდან დაიწყო, რომ მე თავის დროზე კოვზი ვერაფრით მარჯვენა ხელით ვერ დავიჭირე, რადგან ცაცია ვარ. ამიტომ კოვზი ხან ბებიაჩემს ეჭირა ჩემს მაგივრად, ხან— დედაჩემს. რაც თავი მახსოვს, დამდევენ თეფშითა და კოვზით... მე კი ჭამის დროს ვინაზები, ვიგრეხები... ძალით ჭამა გაგონილა! არიქა, ჯირკვლები გაგიჩნდებაო, არიქა, ვერ გაიზრდებიო... ისეთი შიშით მიყურებდნენ, თითქოს მართლა რამე დამემართებოდა. მე კი მშვენივრად გავიზარდე. ნოლ კლასიდან პირველში გადავედი, პირველიდან—მეორეში და სიმაღლეშიც მოვიმატე. შარშანდელი ფეხსაცმელები დამიპატარავდა, კაბები კი ჩემს თოჯინებს ვაჩუქე.

ერთი საათია გოგლიმოგლს თქვეფავს ბებიაჩემი. ახლა კაკაოს ჩააყრის, მერე კიბეზე ფართიფურთით დაეშვება და გამომეკიდება: „შენ შემოგევლოს ბებია, არ დამკლა ქალი! ერთი კოვზი, მხოლოდ ერთი კოვზი, შენი ჭირიმე! ეს დედის წილი... ახლა მამის წილი... ხომ გიყვარს მამა? ბებია? ბებია ალარ გიყვარს, გოგო? ჰო, ასე. გაიზრდები, დაქალდები და შენც ბებია იქნები“. „ბებია ვიქნები და მეც ასე ვირბენ გოგლიმოგლით?“ „კი ირბენ, შემოგევლე... ირბენ, როგორ არ ირბენ. ამაგი ხომ უნდა დასდო!..“

ეზოში დავსეირნობ, უცხო გარემოს ვათვალიერებ. პირველად ვართ ამ სოფელში. ისეთი

ლამაზია ირგვლივ შექოჩრილი გორაკები, ისე კარგად ჭიკჭიკებენ ჩიტები, მეც კი მომინდა სიმღერა. ხელები გავშალე და ჩიკორივით დავტრიალდი. შევჩერდი თუ არა, კიბეზე ბებიაჩემი დავინახე. კოვზს ისევ ჭიქაში ატრიალებდა.

გასაქცევი გზები მოვსინჯე. აქეთ ღობე, იქით ღობე—ჭიშკრით. სახლს წინ მწვანე ეზო აქვს, მაგრამ მერე ვენახი იწყება. ვაითუ ვენახში ძაღლი ყავთ დაბმული! რა ვქნა? ვირბენთ მე და ბებია ამ მწვანე ეზოში, დავიქანცებით და გოგლიმოგლს მაინც შემაჭმევს.

...ბებიამ მალე დამიჭირა და ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი.

ამ დროს გოგონას გულიანი კისკისი შემოგვესმა. ბებიაჩემმა სათვალე შეისწორა, თავი შემართა და ირგვლივ მიმოიხედა. კისკისი უმალ შეწყდა და მეზობლიანთ ღობის აქეთ-იქით გაწეულ ორ ფიცარს შორის ცუგრუმელა გოგოს ანთებული თვალები დავინახე. თრითინასავით განაბული ჩვენკენ იყურებოდა. ბებიაჩემმა კი, ეტყობა, ვერ შენიშნა, კოვზი ჭიქაში ჩაატრიალა და გოგლიმოგლი ათქვიფა.

— აბა, ერთი გოგუცას წილი...

გოგუცა ჩემი თოჯინაა და მის მაგივრადაც მე მაჭმევენ. რაც მე მის მაგივრად მიჭამია! მაგრამ ახლა კრიჭა შემეკრა და პირი ვერ გავაღე, რადგან ვიცოდი, რომ თრითინასთვალება კუდრაჭა გოგო იქვე მახლობლად ღობესთან იყო ჩაცუცქული და მიცქერდა.

— გოგუცას ეწყინება!—მეეედრება ბებია.

— ეწყინება და ეწყინოს!—წამოვიძახე უცებ, ბებიას გავექეცი, კიბე ავირბინე და შინ დავიმალე. ბებიაჩემი დიდხანს მეძებდა, მაგრამ ალიაქოთი არ აუტეხია. იცოდა, რომ იქვე ვიყავი დამალული. ხან მოუახლოვდებოდა ჩემს სამალავს, ხან—დამშორდებოდა. ხან შორიდან, ხან—ახლოდან მესმოდა მისი ვედრება:

— გამოდი, გოგო... შენ შემოგევლე! ნუ დამტანჯე და დამღალე. რა გახდა ორი კოვზი გოგლიმოგლი! ამაზე უნდი მომკლა და დამადნო?

* * *

თრითინასთვალება გოგო მეორე დღეს ჩვენს ეზოში გაჩნდა. ღობიდან შემოძვრა და მკითხა:

— რა გქვია?

გუშინდელი მისი დაცინვა გამახსენდა. მკვახედ და მედიდურად მივუგე:

— რაც მქვია, ის მქვია!

ერთი კი შემომხედა გაკვირვებით.

— ბუტია, ბუტია, სანაგვეზე კუნტია!—უცებ მომახალა, გაწეულ ფიცრებს შორის გაძვრა და მიიმალა.

მე თამაში მინდოდა. ახლომახლო ბავშვები კი არ ჩანდნენ. მივედი მეზობლიანთ ღობესთან და ქურდულად გავიჭყიტე იმათ ეზოში. თრითინასთვალებამ ეზო გაიარა და სადღაც გასწია. თან მომცრო ქვაბით რაღაც მიჰქონდა. ნეტავი სად მიდის და რა მიაქვს-მეთქი, ვიფიქრე. წელან რომ არ გაქცეულიყო, ალბათ ვიჩხუბებდით. გუშინ დამცინა, დღეს კი ბუტიაო, გამომლანძღა. ახლა საქმიანი ქალივით მიდის და ხუფდახურული ქვაბით ალბათ კერძი მიაქვს, ფრთხილად მიაბიჯებს, რომ არ დაექცეს.

ღობის გასწვრივ ჩავირბინე, ჭიშკართან მივედი და სოფლის გზაზე გავიხედე. გოგონამ ერთ პატარა ეზოს მიაშურა, სადაც აივნიანი ძველი სახლი იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ უნდა შევარჩინო დაცინვა და ლანძღვა! გამობრძანდეს! დავხვდები და რანაირი ბუტია ვარ, სანაგვეზე როგორა ვარ ჩაკუნტული, მაგასაც ვაჩვენებ, კიკინებით რომ დავითრევ და ვატირებ!

გზა გადავჭერი და ფიცრულ ღობესთან მივირბინე. ფიცრებს შორის ისეთი დიდი ღრიჭოები იყო, ეზოში ყველაფერი ჩანდა. კიბესთან მოხუცი ქალი იჯდა და ეტყობა, იმ გოგოს ელოდა.

— მოხვედი ნანი!

— მოვედი ნუცა ბაბო. ისეთი გემრიელი კერძი მოგიტანე, ისეთი, რომ!—მიახარა გოგონამ და ქვაბი კიბის ქვემო საფეხურზე დადგა.

— რაზე სწუხდებით, გოგო!

გოგონამ ტვირთი რომ მოიშორა, შინ შეირბინა. ცოტა ხანში რის ვაივაგლახით ტაბლა გამოათრია და კიბესთან დადგა. მერე ისევ შინ შებრუნდა, ახლა ჯამი, კოვზი და პური გამოიტანა. პური ჯამში ჩაფშვნა, ზედ კერძი დაასხა. მოხუცი ქალი რაღაცას ეჩურჩულებოდა, თან ხელებს საცოდავად ასავსავებდა. დავაკვირდი, დავაკვირდი და რა დავინახე; ქალს ორივე თვალი დახუჭული ჰქონდა.

გოგონა გვერდით მიუჯდა, კოვზით კერძი ამოიღო და მოხუცს პირთან მიუტანა.

— აბა, ნუცა ბაბო!..

— მე თვითონა, გოგო, მე თვითონა!—ვინ იცის, მერამდენედ იუკადრისა უსინათლომ, მაგრამ გოგონამ არ დაანება.

ცივმა ოფლმა დამასხა; ეს პატარა გოგო უსინათლოს ისე აჭმევდა კერძს, როგორც მე ბებიაჩემი. მაგრამ მოხუცი როდი ჯიუტობდა, შოშიასავით აფჩენდა პირს და გოგონაც ბებიაჩემივით როდი ეუბნებოდა: ეს დედის წილი, ეს მამის წილი... ამ საცოდავ ქალს ალბათ არავინ ყავდა და ამ ციცქნა გოგოს ანაბარა იყო, როცა მოზრდილი მეზობლები მინდვრებში და ბაღებში იყვნენ სამუშაოდ წასული.

— მართლა, გემრიელი კერძია, შენ თვითონ გემრიელო, გემრიელო!—მოხუცმა ქალმა ტუჩები მოიწმინდა და გოგოს საკოცნელად მიეტანა.

— მოდი, გოგო, სადა ხარ! ტკბილო და შაქარო, შენ გაგახარებს ღმერთი, ჩემს ხანს მოგასწროს სინათლითა და ბედნიერებითა!..

მოხუცი რომ დააპურა, ჯამ-ჭურჭელი აალაგა, ტაბლა ისევ რის ვაი-ვაგლახით შეათრია შინ და... მეც მოვუსვი იქიდან. მაგრამ შინ როდი შევედი. ჩვენი სახლის პატრონის ჭიშკართან ვიდექი და ველოდი იმ გოგოს.

შეაგვიანდა. მერე, როგორც იყო, ნუცა ბაბომ ჭიშკარი გამოიხურა და შინისკენ წამოვიდა. დამინახა, მედიდურად, გაბუტულივით ჩამიარა. მერე უცებ შეჩერდა და შემომხედა. ისე ძალიან მიცემდა გული, ასე მეგონა ჩიტი მიფრთხიალებს-მეთქი.

ამ დროს ბებიაჩემის ხმა გაისმა.

— ნინიკო! ნინიკო!

თრითინისთვალება გოგოს უცებ გაეცინა.

— მიდი, გოგლიმოგლი დაგრჩენია შესაჭმელი!—ნიშნის მოგებით მომახალა და გაიქცა. მე კი თვალში ცრემლი მომადგა და ატირებული შევედი ეზოში. ბებიაჩემმა თვალცრემლიანი რომ დამინახა, ლამის გადაირია... მერე დედაჩემიც გამოვარდა.

...მაგრამ ვერაფრით ვერ მათქმევინეს, რა მატირებდა.

ნახატები **ვახტანგ გულისაშვილისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდის ხარობს ცივი წყარო

მორის ფოცხიშვილი

როცა ტყე-ტყე
მოწანწკარობს,
სწორედ მაშინ
ხარობს წყარო,—
თავს იკლავს და
წყურვილს გიკლავს,
რომ შენ გული
გაგიხაროს.

როდის კისკისებს ღელა

როცა სახლშია ყველა,
ხტის და კისკისებს ღელა.

როდის ყვავილობს ია

მინდვრად ყვავილობს ია,
როცა ზეცაზე მზეა.

როდის წყდება ხის ფოთს ვაშლი

ხის ტოტს მაშინ წყდება ვაშლი,
როცა ამ ვაშლს ნატრობს ბავშვი.

როდის გაიჭრება არხი

როცა მოისურვებს ხალხი,
მაშინ გაიჭრება არხი!

მაშინ აშენდება სახლი,
როცა მოინდომებს ხალხი!

ჩვენი ანბანი ქართული

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც კითხვა შევძელ და მივყევ
ცოდნის გზას წელგამართული,
წიგნიდან წიგნში დამაფრენს
ჩვენი ანბანი ქართული.

ენის ლონე და მშვენება,
სიტყვის ჭაპანის გამწევი...
დედამ თქვა:—უნდა ვადიდოთ
მისი პირველი დამწერი.

მამამ თქვა:—ენა ჩვენს წიგნებს
ვინც ამ ანბანით აუდგა,
ვინც შექმნა, კაღმით დახატა,
ღირსია, ძეგლი დავუდგათ.

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

ქარი

ეთერ სამხარაძე—ჯღამაძე

შრიალ-შრიალ-შრიალითა,
ბზრიალ-ბზრიალ-ბზრიალითა,
ჩვენს ეზოზე გადიარა
და საღამი არვის გვითხრა.
გამეტებით დამეტაკა,
ეზო-ეზო მსდია დიდხანს,

ხან—მთებისკენ გაუტია,
ხან—მინდორზე გაჯირითდა.
მეჯახება და თმას მიშლის,
თვალით კი არ მენახება,
თუკი ერთი დავიჭირე,
ხელში შემომელახება.

კ. მარქსის სახ. სოფ. სსრ
სახელმწიფო საჯარო
ბიბლიოთეკა

სულ თაიას ბრალია

კარლო ტაბატაძე

ერთი ციცქნა ელექტრონი ვარ, თვალით შეუმჩნეველი. მე და ჩემი ძმობილ-დობილები ელექტროსადგურის გენერ.ტორში წარმოვიშვით. დიდი ღუზა ციბრუტივით ტრიალებდა და ჩვენ ერთხანს ელექტრომაგნიტურ ველში მხიარულად ვხტუნაობდით. მერე სადენებს გარეთ გამოვყევით, შემეშინდა, ისეთ ლაბირინთებში ამოვყავით თავი. ტრანსფორმატორი შემაზრზენად ზუზუნებდა, ცხელოდა კიდეც, თუმცა საიდანღაც გრილი ჰაერი უბერავდა და სულისმოთქმა შეგვეძლო. უცბად, ისე დავიძაბენით, ისეთი დიდი ენერგია შევიძინეთ, ლამის იყო, ტრანსფორმატორი არ ავაფეთქეთ. დროზე დავაღწიეთ ლაბირინთებს თავი და ქალაქისაკენ მიმავალ დიდ გზას დავადექით.

ჩვენი გზა მაღალ ანძებზე გაბმული მავთულებია, ყველას გინახავთ ალბათ. შევესიეთ ამ მავთულებს და მხიარული ზუზუნით, მწყობრად გამოვწიეთ ქალაქისაკენ. გვიხაროდა, რომ ხალხი უნდა გაგვეხარებინა: ზოგი ჩვენგანი ქარხანა-ფაბრიკებში დაზგებს და ჩარხებს აამუშავებდა. ერთნი მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელს გაახურებდნენ და ფოლადს გამოადნობდნენ, მეტროში ჩაძვრებოდნენ და მატარებელს გააქანებდნენ, ტროლეიბუსს თუ ტრამვაის აამოძრავებდნენ. მეორენი ქალაქში გაიფანტებოდნენ, ქუჩებსა და ბინებს გაუნათებდნენ მცხოვრებლებს. მოკლედ, დიდი ამბების მოლოდინში ვიყავით, მხიარულად ვზუზუნებდით და არემარეს ვათვალიერებდით.

გადმოვიარეთ აქოჩრილი მთები, ამწვანებული მინდვრები, ქაფმოდებული მდინარეები, ვნახეთ, როგორ თოხნიდნენ გლეხები სიმინდის ყანებს, შაბიამანს ასხურებდნენ ზვრებს, რწყავდნენ ხეხილის ბაღებს. ჩვენც გვინდოდა, მიგვეღო მონაწილეობა საერთო ორომტრიალში, ჩვენი ძალითა და ენერგიით დავხმარებოდით ადამიანებს.

მალე, ჰორიზონტზე ქალაქის კონცხი გამოჩნდა. შიშმა აგვიტანა, რა მოგველის ქალაქში? ვინ იცის, როგორ შეგვხვდებიან მცხოვრებლები. შეიძლება ზოგიერთმა არამზადამ საშინელი საქმე ჩაგვადენინოს. შეძრწუნებულები ერთმანეთს ავეკარით და უფრო მეტად ავწრიალდით.

ქალაქს, რომ მივადექით, ანძებიდან დავეშვით და გამანაწილებელ ქვესადგურში შევედით, ჩემ მეგობრები ერთმანეთს დაგვაშორეს და ქალაქის სხვადასხვა უბნებისაკენ მიმავალ გზას გავუდექით. ერთხანს მე და ჩემი მეგობრები მიწისქვეშა კაბელს მივყვებოდით და ვერაფერს ვხედავდით, მერე ზემოთ ამოვედით და ბოძებზე გაბმულ მავთულებს გავყევით.

ქუჩებში ხალხი ირეოდა, მანქანები მიმოქროდნენ.



ხმაური ჩვენამდე აღწევდა და სულ იმის მოლოდინში ვიყავით, აი, ახლა შევასრულებთ ჩვენს საქმეს, აი, ახლაო, მაგრამ მავთულები არ თავდებოდნენ და ჩვენ ძალაუნებურად გავრბოდით. უცებ მავთულებმა მოუხვიეს და რვასართულიან შენობაში ამოვყავით თავი.

ალბათ, რადიოლას ავამღერებთ, გამიელვა გუნებაში. შეიძლება ელექტროსაპარსავი ავამუშაოთ

ვინ იცის, დიასახლისს სარეცხის მანქანა აქვს ჩართული და გველოდება!

დერეფანში დაყენებული ელექტრომრიცხველი გავიარეთ და ოთახში შევედით. თვალი მოვკარი პატარა გოგონას—თაიას, მან ტელევიზორი გამოთიშა. ჩვენ შევჩერდით. თაია თოჯინების მოვლა-პატრონობით იყო გართული, თან ღიღინებდა. მავთულებს გადმოვეკიდეთ და ყური მივუგდეთ. თოჯინას აბრეშუმის კაბა გახადა, შეათვალიერა, ჰო, რა ჭუჭყიანიაო,—თქვა და აბაზანაში ხტუნვა-ხტუნვით გავიდა, კაბა გარეცხა, მერე უთო მოძებნა და შტეფსელში შეაერთა. ჩვენ გახარებულები ავმოძრავდით და უთოში შევძვერით,—გვინდოდა თაიას დავხმარებოდით—უთო გაგვეხურებინა და თოჯინასთვის კაბა გაგვეშრო. თაიამ სველი კაბა მაგიდაზე გააფინა, მერე უთო გასინჯა, ცხელია თუ არაო და კაბას გაუსვა. მოულოდნელად ტელეფონმა დაიწკრიალა. თაიამ უთო კაბას დაადო და მეორე ოთახში გავარდა, ყურმილს დასწვდა: თანაკლასელი ნინო იყო, საუბარი გააბეს...

უთო გაცხელდა და სველმა კაბამ შიშინი დაიწყო. ჯერ გვიხაროდა, ასე კარგად რომ ვეხმარებოდით თაიას, მაგრამ ის საუბარს არ ამთავრებდა, კისკისებდა და მეგობარს ახალ-ახალ ამბებს უყვებოდა.

უთომ გახურება იწყო, კაბა მალე გაშრა და... არიქა, თაია!—შევშფოთდით ჩვენ—ერთი ციცქნა ელექტრონები,—ჩქარა, ჩქარა, გამოთიშე უთო!

თაია კვლავ კისკისებდა, გადაავიწყდა უთოც და თოჯინას კაბაც.

კაბას დამწვრის სუნი ავარდა, მოგვეჩვენა, რომ თოჯინა ატირდა. მაგრამ შველა არაფრით შეგვეძლო. გახურებული უთო შეუბრალებლად სწვავდა კაბას, მაგიდის გადასაფარებელსაც მისწვდა. მოულოდნელად ოთახში თაიას დედა შემოვიდა.

— თაია, თაია! ეს რა გიქნია!—იყვირა დედამ და უთო გამოთიშა.

ჩვენ შვებით ამოვისუნთქეთ, ძალა და ენერგია დავკარგეთ.

ოთახში შეშინებული შემოვარდა თაიაც, მან ჯერ თოჯინას კაბას დახედა, მერე აცრემლებული თვალი უთოს მიაპყრო და მივხვდი, ის ჩვენზე გაბრაზდა, ჩვენზე, ერთ ციცქნა ელექტრონებზე, მაგრამ აბა, რა ჩვენი ბრალი იყო?!

ნახატი **თამაზ ხუციშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სათაგური თაგვიანად

ზაქარია ფერაზადიშვილი

ნახატი **გესო ხიდაშელისა**

ჩვენმა ფისომ
მე და ბებოს
ჩაგვიქრიალა, ჩაგვიარა,
სარდაფიდან სათაგური
გაიტანა თაგვიანად.
მოეწონა ფისოს თაგვი—
სათაგურის
გათანგული,
თვითონ ურცხვად გამოცხადდა,
დაიკარგა
სათაგური.

ნათლობა აქვს მელასაო

ტარიელ ხავთასი

დელი-დელი, დელასაო,
ნათლობა აქვს მელასაო.
— ვის ჰატიჟებს კუდაგრძელა?
— იხვებს, ქათმებს, მერასაო.

— რაც ბიჭია კარგად
ვიცნობთ
მელას გაიძვერასაო;
ეგ ოინი არ გაუვა,
რატომ იღლის ენასაო.

ამირანის შაშვი

ლავრენტი ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ამირანს მარტო ზაფხული კი არა, ზამთარიც უყვარს. დეკემბერი რომ დადგა, ჯერ ორი დღეც არ იყო გასული, ბიჭი ბაბუას შეეკითხა:

— ახლა ხომ ზამთარია?

— ზამთარია, აბა რა! დადგა დეკემბერი, ზამთრის პირველი თვე,—უთხრა ბაბუამ.

— მერე თოვლი რატომ არ მოდის?

— მოვა თავის დროზე. ვინ იცის, ხვალ დილას შეიძლება მთელი არემარე სულ გადათეთრებული დაგვხვდეს.

თომა ბაბუამ კი უთხრა ასე, მაგრამ მეორე დღეც გავიდა, მესამეც... კიდევ რამდენი დღე გათენდა და დაღამდა, არ იქნა და, არ მოვიდა თოვლი.

ერთ საღამოს ისეთი მოწმენდილი ცა იყო, მთვარე ისე ქათქათებდა, რომ თოვლი აბა, ვის მოაგონდებოდა? მაგრამ დილით, როცა თომა ბაბუა ჩვეულებრივად ყველაზე ადრე ადგა და გარეთ გაიხედა,—მახარობელივით დაიძახა:

— თოვლი, თოვლი მოსულა! თოვლი!

ამირანს ძილში ჩაესმა ბაბუას ხმა. უცებ გააჭყიტა თვალი. ჯერ არ დაიჯერა: საღამოზე დაწოლის წინ ხომ ცაზე ერთი ნამცეცა ღრუბელიც არსად ჩანდაო.

წამოხტა ამირანი, ფანჯარასთან მიირბინა და, რას ხედავს? მთელ მიდამოს, თითქოს თეთრი საბანი გადაუფარებიაო. გარეთ სიჩუმეა, მხოლოდ დუმილი სუფევს ყველგან.

ჰო, როგორ გაუხარდა. მაშინვე ფაციფუცით ჩაიცვა და გარეთ გავარდა.

— ბიჭო, არ გაცივდე, თბილად ჩაიცვი!— მიაძახა დედამ, მაგრამ ვის ესმის მისი ხმა.

ბაბუა დატრიალდა, ბუხარში ცეცხლი დაანთო, გაყინული ბავშვი რომ შემოვა, გათბებაო.

ამირანმა, იცოცხლე, იჯერა გული თოვლში სირბილით! შინ რომ შემოვიდა, გუნდა ეჭირა ხელში. ბაბუამ დაუცაცხანა:—თოვლი შინ რატომ შემოიტანეო. მაგრამ ბიჭი ვერ შეელია, ისე ეჭირა ხელში, თითქოს ცივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვლი კი არა, ბამბის თბილი ქულაა.

იმ პირველ დღეს შუადღემდე თოვდა, მერე შეწყდა, მაგრამ ხის ტოტებიდან ერთი ფანტელიც კი არ ვარდებოდა. კვლავ თოვა იყო მოსალოდნელი. მართლაც, მეორე დღეს სულ გაბმულად თოვდა: კარგა დიდი თოვლი დადო. გარედან თუ რამ იყო შემოსატანი, ყველას მაგივრად ამირანი გარბოდა. აგერ, ძლივს გააღო თოვლში ჩაფლული ჭიშკარი. წყარო ცოტა მოშორებით იყო, კლდის პირას. ამ თოვლში, თითქოს გაუთბიათო, ორთქლი ამოდიოდა, თბილი ორთქლი. იმ ორთქლს წყაროს გვერდით მდგომ დახუნძლულ კუნელზე თოვლი სულ ჩამოედნო და გათეთრებულ გარემოში მწიფე კუნელი ლამაზად ჩანდა. ამირანის მისვლა და, თოვლით გადაბურულ ბარდში რაღაც ფათქუნი გაისმა. ბიჭმა შიგ შეიჭვრიტა. ათვალიერა, ათვალიერა და... შაშვი დაინახა! ამირანმა თუნგულა წყაროსთან დადგა, შაშვის დაჭერა მოინდომა. ბარდს რომ შეეხო, შაშვი უფრო აფრთხიალდა, მაგრამ ვერ გაფრინდა. თურმე ფეხზე ძაფი ჰქონდა გამობმული, საწყალი ეკლის ბარდებში გახლართულიყო და ვეღარ მიფრინავდა. საიდან არ მოუარა ამირანმა, მაგრამ ბარდში ვერ შეძვრა. ბოლოს ზემოდან წამოადგა. როგორღაც ფეხი დაუცურდა და ზედ გადათელილ ბარდზე ჩამოგორდა მისდაუნებურად. რაღაც ილბლად არაფერი ეტკინა. ახლა სულ ახლოს აღმოჩნდა შაშვთან. შეშინებული ფრინველი კიდევ უფრო აფრთხიალდა, მაგრამ ისე იყო გამობმული, რომ ვერას გზით ვერ აიშვა. როგორც იქნა, მისწვდა ამირანი. ძაფი ამოგლიჯა ბარდებიდან და შაშვი ზევით ამოიყვანა.

საწყალი შაშვი თვალებს აცეცებდა. გული ჩქარ-ჩქარა უცემდა.

თომა ბაბუამ შაშვის ფეხზე გამობმული ძაფი რომ დაინახა, თქვა:

— ალბათ ვიღაცას ჰყავდა დაჭერილი. შენ კაი ბიჭობა გამოგიჩენია, რომ გადაგირჩენია.

— მე გავათავისუფლე...

— გათავისუფლებული მაშინ იქნება, თუ გაუშვებ.

— ძლივს დავიჭირე და ახლა გავუშვა!

— მე რომ შენს ადგილზე ვიყო, ფეხზე ნიშანს გავუკეთებ და გავუშვებ,—უთხრა თომა ბაბუამ, – ეგ შაშვი, წყაროსთან რომ კუნელია, ალბათ იმაზეა შეჩვეული და იქ კიდევ ნახავ ხოლმე, ისევ შენი შაშვი იქნება.

ამირანს მოეწონა ბაბუას რჩევა.

მან ფერადი ნაჭერი მოიტანა და ფეხზე შეაბა. შაშვი გარეთ გამოიყვანა, გაშლილ ხელისგულზე დაისვა, ხელის გაშვება და შაშვიც ისარივით აიჭრა ჰაერში. წამში მიიმალა სადღაც.

ამირანს სჯერა, რომ თოვლი მოვა თუ არა, წყაროზე წავა და კიდევ ნახავს თავის შაშვს! კუნელი ხომ ისევ იქა დგას და აბა, თოვლში სხვაგან სად იშოვის საჭმელს.

ნახატები **ზაურ დეისაძისა**

ნაძვისხე

გიორგი დათუაშვილი

ნაძვისხე საახალწლო ზეიმის სიმბოლოა.

უამრავი ნამცეცა თოვლი საბნად ეხურება მიწას, ლამაზ ფარდად ეფინება სახლის სახურავებს, ტოტებს; ხის ბოძებზე უცნაური, მაღალი ქუდები ჩნდებიან, მთებს თეთრ ნაბდებად წამოესხმებიან ხოლმე.

სკოლის ფართო დარბაზში ხელიხელჩაკიდებული, წითელყელსახვევიანი გოგონები და ბიჭები სახეგაბრწყინებული უვლიან გარშემო ნაძვისხეს, ისმის მათი წკრიალა სიმღერა: ნაძვისხეო, ნაძვისხეო...

ეს ასეა, ყველა მხიარულობს ნაძვისხის გარშემო.

მაგრამ, როგორ ან საიდან იქცა ნაძვისხე საახალწლო ზეიმის სიმბოლოდ?

მე-18 საუკუნის დამდეგს ელზასში (გერმანია) გამოჩნდა კაცი, რომელმაც ნაძვის ხე მოჭრა და შინ წაიღო. მის მსგავსად მოიქცნენ დედოფალი ვიქტორია და პრინცი ალბერტო, რომლებმაც ინგლისში პირველად თავიანთ შვილებს დაუდგეს ნაძვისხე.

მას აქეთ, თანდათან, ნაძვის ხის მოჭრა და შინ მიტანა წესად იქცა ხალხში.

ჩვენს ქვეყანაში ნაძვის ხის მოჭრა,—ბუნების ამ მომადლებული საჩუქრისა,—სასტიკად აკრძალულია, იგი შესცვალა ხელოვნურად დამზადებულმა ნაძვისხემ.

ნაძვის ხე,—ტყის მშვენება, წელიწადის ყოველ დროს ხიბლავს მნახველს, წელიწადის ყოველ დროს მწვანეა. აბა, წარმოიდგინეთ, რა მოხდება, ყოველწლიურად რომ საახალწლოდ, ქორფა, მწვანე ნაძვის ხეები ვჭრათ! მათი რიცხვი თანდათან შემცირდება. მერე თქვენ დაიზრდებით და გული დაგწყდებათ, რომ ეს ლამაზი, მარადმწვანე ხეები ასე ცოტა იქნება ტყეებსა და პარკებში.

ისტორიამ შემოგვინახა მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი დოკუმენტი: „ამხ. ბელენკის, ივანიჩევისა და გაბალინის თქმით, დადგენილია, რომ სანატორიუმის გამგის ამხ. ვევერის განკარგულებით 1920 წლის 14 ივნისს, სანატორიუმის პარკში, მოჭრილ სულიად საღი ნაძვის ხე. ვბრძანებ: ხალხის ქონების ამგვარი განიავებისათვის ამხ. ველერი დააპატიმროთ ერთი თვით.“

ამ ბრძანებას ხელს აწერდა ჩვენი დიდი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. ამ ბრძანებით ვლადიმერ ილიას ძემ ყველასათვის ნათელი გახადა თუ რაოდენ მნიშვნელობას ანიჭებდა მშრომელი ხალხის მთავრობა ფასდაუდებელი განძის—მშობლიური ბუნების დაცვას.

ნახატი **გესო ხიდაშელისა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკეთესია

თაგუნა

ვიქტორ ლეჟავა

— მოდით, ბიჭებო, მოგროვდით,-
ვირთხებს გასძახის თაგუნა,—
უშიშრად ვჭამოთ კაკალი,
ფისო ხაფანგში გაბმულა!



ბამოცანა

ის ხე ხარობს ოჯახში,
მაგრამ არა დიდხანს,
იგი მარტო ხიხს კი არა,
ცხოვეღებსაც ისხამს,
ფრინვეღებსაც ისხამს,
საჩუქრებსაც ისხამს.
გაბრწყინდება ნაირფერად,
ის ხე ბავშვებს ართობს,
იმ ხეს განა დარგვა უნდა,—
დადგმა უნდა მარტო!

გიორგი შეთეკაშრი

ამოცანა

რომ მორთულხარ ეკა
ჭრელა-ჭრელა ბაფთით,
მითხარ, ორჯერ ხუთი
რამდენია?..
— ...!

გიორგი მეტრეველი

მასალეხი



შეავსეთ ცარიელი უჯრედები სიტყვებით ისე, რომ ფერად სტეტში მიიღოთ დედამიწის ზედაპირის სახელწოდება.

შეადგინა წითელწყაროს რაიონის სოფ. ქედის საშ. სკოლის მოსწავლემ **გურამ ქვითარაძემ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცანა

აბა, ვინ არის, ბინისთვის
ხის ფულუროს რომ ირჩევს?
და ზამთრისათვის აგროვებს
სოკოს, თხილსა და გირჩებს?!

ზოთა ამირანაშვილი

მოფერებაც ყეფით იცის

ქიშვარდ ისაკაძე

— ამ, ამ, — როცა სიჩუმეა
მზეს და მთვარეს უყეფს ეურმა,
რა ქნას, ფხიზლობს, რომ ეზოში
უცხო არვინ შემოუშვას.

— ამ, ამ,—ყეფით მორბის ჩემკენ,
სათამაშოდ როცა იცლის,
ამ სულელმა გაჯავრებაც,
მოფერებაც ყეფით იცის.

ვარიები

გული ზუხგა

გავაკეთეთ თოვლის მგელი,
თოვლის გუდამელია,
შიშისაგან ვარიკელებს
გული გადაელიათ.

შეადგინა ქ. ბათუმის საშ. სკოლის მოსწავლემ **ვლადიმერ პერტიამ.**

რებუსი



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვოხერხეზული ნადავლი

ნახატები **სოფიო კინწურაშვილისა**

მთავარი რედაქტორი **მუხრან მაჭავარიანი**

სარედაქციო კოლეგია: ანზორ აბულაშვილი, ედუარდ ამბოკაძე, კუკური გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, გიორგი როინიშვილი (სამხ. რედაქტორი), **იორამ ქუმერტელიძე** (პ/მგ. მდივანი) **რობერტ ღარიბაშვილი, გივი ძნელაძე**

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

საქ. ალკკ ცკ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ჟურნალი. **გამოცემის 50-ე წელი.**

ყდაზე ნახატი **ედუარდ ამბოკაძისა.**

ტექრედაქტორი **ენდი ფარეთელი**

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: მთ. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15; პ/მგ მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის —93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნოსი — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 13/X-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/XI-76 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8. ფიზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 157.250. შეკვ. № 3455. „Дила" № 1. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.